ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 26-108

30 ოქტომბერი
"---"-------- 2015 ∇

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილების მართვის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ." ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ" და „კ" ქვეპუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

1. შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილების მართვის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-76 დადგენილებაში (ვებგვერდი, 23/12/2014 წ., სარეგისტრაციო კოდი 010340000.35.101.016064) და დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის " მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის. 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ." ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 68-ე მუხლის „ვ" ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო

საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ მე-4 მუხლის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

2. შევიდეს ცვლილება „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილების მართვის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-76 დადგენილებით დამტკიცებულ წესში და წესის:

ა). მე-2 მუხლის მე-8 და მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. აუქციონის ორგანიზებას ახორციელებს აუქციონატორი. აუქციონის ორგანიზება, ჩატარება და შედეგების გაფორმება ხდება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული წესის, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-72 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესით“ დადგენილი აუქციონის ჩატარების წესისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9. მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილების/აქციების აუქციონის ფორმით მართვის უფლებით გადაცემისას, მართვის უფლებით გადაცემის საფასური განისაზღვრება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს მიერ, დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის საფუძველზე წილების/აქციების საწყისი საპრივატიზებო საფასურის არანაკლებ 5%-ის ოდენობით.“.

ბ). მე-2[1] მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ფიზიკური პირისა და იურიდიული პირისათვის (გარდა ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული იურიდიული პირისა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილებისა და აქციების პირდაპირი განკარგვის ფორმით ან კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით მართვის უფლებით სასყიდლით გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს და ყოველ

კონკრეტულ შემთხვევაში მართვის უფლების საფასურს განსაზღვრავს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა და შესათანხმებლად უგზავნის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ალიბეგაშვილი**

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქციებისა და წილების მართვის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-76 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში - პროექტის) მიღების (გამოცემის) მიზეზი/ პროექტის დამახასიათებელი ძირითადი ნიშნები:

2015 წლის 18 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ცვლილებების შეტანის შესახებ“ (4310-Iს), რომელის თანახმადაც ახლებურად დარეგულირდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვისა და განკარგვის პროცედურები. კერძოდ, დაზუსტდა საკრებულოს ფუნქცია მუნიციპალიტეტის ქონების განკარგის დროს ფასის განსაზღვრის წესის დადგენის ნაწილში. რამაც აუცილებელი გახადა ფასის განსაზღვრის ნაწილში კოდექსის შესაბამისად წესში ცვლილებების შეტანის აუცილებლობა.

წესში ასევე შედის ტექნიკური სხვა სახის ცვლილებები, განიმარტა და ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით რიგი საკითხები. კერძოდ:

- დადგენილების სათაური შესაბამისობაში მოდის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ ცვლელებასთან და შესაბამისად სათაურში დაემატა სიტყვები: „საპრივატიზებო საფასური“;
- იცვლება და მარტივდება დანაწესი, რომელიც ეხება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული წილების/აქციების აუქციონის ფორმით მართვის უფლებით გადაცემისას, მართვის უფლებით გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესებს;
- სწორდება არსებული ტექნიკური ხარვეზები.

ბ) პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:

პროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

გ) პროექტის ავტორი (ავტორები):

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართის სააგენტო.

დ) პროექტის წარმდგენი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.